ხათუნა გოგჩაიძე

ჩვენი თოვლის ბაბუა



შორს, შორს კავკასიის მთების ძირში, იქ, სადაც მიწას მუდმივად ფაფუკი თეთრი თოვლის საბანი ახურავს და ხეებსაც ფიფქებით მოქარგული თეთრი კაბები აცვიათ, ტყის განაპირას დგას ხის ქოხი, რომლის ფანჯრებზეც ყინვას თეთრი ფუნჯით ზღაპრული გამოსახულებები მოუხატავს. სახურავს კი ირგვლივ უამრავი ბრჭყვიალა ყინულის ლოლო დარაჯებივით შემოხვევია.

ქოხის საკვამურიდან მუდმივად ამოდის კვამლი. ირგვლივ კი თოვს და თოვს.

სწორედ ამ ქოხში ცხოვრობს ყველაზე კეთილი, თმაჭაღარა და თეთრწვერა მოხუცი, ჩვენი თოვლის ბაბუა ფერიებთან, თეთრ არწივთან და უამრავ ღაბუა ჩიტთან ერთად.

ეს ჩიტუნები მთელი წლის განმავლობაში დაფრინავენ საქართველოს მთასა და ბარში, ქალაქებსა და სოფლებში და ყველა ბავშვის ამბავი თოვლის ბაბუასთან მიაქვთ.

მას ბუხარზე ორი წიგნი უდევს, ყვითელი და თეთრი. ყვითელ წიგნში ყველა იმ ბავშვის სახელია, ვინც ცუდად იქცევა. ფიფქებით მოხატულ თეთრ წიგნში კი მხოლოდ კარგი ბავშვების სახელებს წერს.

ალბათ, ფიქრობთ, ჩიტები რა ენატანიები ყოფილანო, არა? მაგრამ თოვლის ბაბუამ ხომ უნდა იცოდეს, რომელი ბავშვი იმსახურებს საახალწლო ოცნებების ახდენას.

როცა თოვლის ბაბუასთვის გასაგზავნად ბარათში თქვენს სურვილებს ჩაწერთ ან დახატავთ (ეს იმ შემთხვევაში, თუ ჯერ წერა არ იცით), ის გარეთ, ფანჯრის რაფაზე, დადეთ. იქვე საკენკის დაყრაც არ დაგავიწყდეთ.

ჩიტუნები დაპურდებიან. შემდეგ თქვენს ბარათს პატარა ნისკარტს ჩაავლებენ და თოვლის ბაბუას ქოხისკენ გაფრინდებიან. ქოხის სახურავზე, საკვამურის გვერდით, მეორე პატარა საკვამურიცაა, საიდანაც არასოდეს ამოდის კვამლი. თქვენგან წამოღებულ ბარათებს ჩიტუნები სწორედ ამ საკვამურში ჩაყრიან, საიდანაც ისინი პირდაპირ თოვლის ბაბუას ოთახში, სურვილების სკივრში ცვივა.

დათოვლილ ქოხში, ბუხარში მოღუღუნე ცეცხლის პირას, სავარძელში მოკალათებული თოვლის ბაბუა რიგრიგობით იღებს სკივრიდან თქვენს წერილებს, გულდასმით კითხულობს, შემდეგ გადაამოწმებს, ბარათის ავტორი რომელ წიგნში ჰყავს შეყვანილი და თუ მისი სახელი თეთრ წიგნში აღმოჩნდება, ბარათს ფერიებს გადასცემს, რომ საჩუქრები მოუმზადონ.

კეთილი ფერიები მთელი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობენ, რომ თოვლის ბაბუას თქვენთვის საჩუქრების მომზადებაში დაეხმარონ. ისინი ქსოვენ თბილ ქუდებსა და ხელთათმანებს, ჭრიან, კერავენ და ქარგავენ თოჯინების ტანსაცმელს. მოხატავენ და აფერადებენ სათამაშოებს, ავლებენ ათასობით ჩურჩხელას და ამზადებენ გოზინაყს. უკვე გამზადებულ საჩუქრებს კი ყინულის კოშკში ინახავენ.

კოშკი ხის ქოხის გვერდით დგას და მასში ერთადერთი შესასვლელი მხოლოდ თოვლის ბაბუას ოთახიდანაა.

რას არ ნახავთ აქ, საბავშვო წიგნებსა და სათამაშოებს: თვალებბრიალა თოჯინებს, ფერიებს, ქალთევზებს, საყვარელი ზღაპრის გმირებს, კოსმოსურ თუ ზღვის ხომალდებს, დინოზავრებს, რობოტებს, შოკოლადით სავსე ბრჭყვიალა კოლოფებს, გოზინაყს, ჩიჩილაკებს, ყველაფერს, რასაც ბავშვის ფანტაზია გასწვდება და რასაც იგი ისურვებს. ყოველ მათგანს წარწერა ახლავს იმ ბავშვის სახელით, ვისთვისაცაა განკუთვნილი. ირგვლივ ყველაფერი ბრჭყვიალებს და ცისარტყელას ფერებით იფრქვევა. კოშკის თავზე კი თეთრი არწივი ზის და გულმოდგინედ დარაჯობს.

და, აი, დგება ახალი წლის ჯადოსნური ღამეც. ამ დროს განსაკუთრებული მხიარულება და ფუსფუსია ქოხში. ფერიებს ყინულის კოშკიდან საჩუქრები ქვემოთ ჩამოაქვთ და თოვლის ბაბუას ხურჯინში უწყობენ. ეს უბრალო ხურჯინი არ გეგონოთ, ჯადოსნურია და იქ ყინულის კოშკში შენახული ყველა ბავშვის საჩუქარი ეტევა.

ფუსფუსია ქოხის გარეთაც, სადაც მარხილში შებმული ვერცხლისრქებიანი და ყელზე ეჟვნებჩამოკიდული ორი თეთრი ირემი დგას. ირგვლივ კი სიხარულისგან თვალებგაბრწყინებულ უამრავ ტყის სამეფოს ბინადარს მოუყრია თავი: კუდფუმფულა ციყვებს, თეთრ ბაჭიებს, ზღარბუნიებს, რუხ მგლებს, შვლებს, მელაკუდებს, მთებიდან ჩამოსულ რქებჩაგრეხილ ჯიხვებს. დათუნიებსაც კი გამოუღვიძიათ ზამთრის ძილისგან მხოლოდ ერთი ღამით და ისინიც თოვლის ბაბუასთან მოსულან საჩუქრების მოლოდინში.

და, აი, ქოხის კარი იღება და იქიდან წითელ ჩოხაზე თეთრნაბადწამოსხმული თოვლის ბაბუა გამოდის, მხარზე გადაკიდებული ხურჯინითა და ხელში დიდი ყანწით. უკან ფერიები მოაცილებენ.

მის გამოჩენას ეზოში ყველა სიხარულითა და ჟრიამულით ხვდება. თოვლის ბაბუა ყოველ მათგანს ასაჩუქრებს და მარხილში ჯდება.

ყველაფერი მზად არის ღამის ჯადოსნური მოგზაურობის დასაწყებად. ის ძალიან ჩქარობს, რომ გათენებამდე ყველა ბავშვის სახლში მოასწროს მისვლა და არცერთი მათგანი ახალი წლის ღამეს უსაჩუქროდ არ დატოვოს...

ქათქათა ფიფქების კორიანტელში დაიძრნენ ირმები ეჟვნების წკარუნით. უამრავი ფრთებდაფიფქული ჩიტუნა მხიარულად მოაცილებს თოვლის ბაბუას მარხილს დათოვლილ ტყეში, რათა ირმებს გზა არ აებნათ. მათ ხომ ზუსტად იციან, რომელ სახლში რომელი ბავშვი ცხოვრობს.

და სწორედ მაშინ, როცა მოფარფატე ფიფქები ღამეს სადღესასწაულოდ მორთავენ და ახალი წელი ყველა სახლის კარს ქართული მრავალჟამიერით შეაღებს, თოვლის ბაბუაც მაშინ დააკაკუნებს კარზე. იქვე თოვლს ჩამოიბერტყავს და გახარებულ მასპინძლებს ახალი წლის დადგომას ღვინით სავსე ყანწით მიულოცავს.

შემდეგ ფეხაკრეფით მიუახლოვდება მძინარე ბავშვის საწოლს, დათრთვილული წარბების ქვემოდან კეთილი ღიმილით გადახედავს და სასთუმალთან პატარა ჩიჩილაკს დაუტოვებს, რომელზეც ხილი, პატარა ბროლის კოშკი, თეთრი არწივი, ყანწი, ქვევრი და რქებდაგრეხილი ჯიხვი ჰკიდია. ნაძვის ხესთან კი

პატარა მოქარგული ხურჯინით საჩუქრებს დააწყობს. და ახლა სხვა სახლისკენ გააგრძელებს გზას.

ასე დადის მთელი ღამე თოვლში გახვეულ სოფლებსა და ქალაქებში და საჩუქრებს უსასრულოდ არიგებს და არიგებს, ვიდრე არ ინათებს.

თქვენ კი, ბავშვებო, როცა გაიღვიძებთ, თუ საწოლთან პატარა მორთული ჩიჩილაკი დაგხვდათ, იცოდეთ, რომ თურმე სანამ გეძინათ, თოვლის ბაბუა გსტუმრებიათ. სასწრაფოდ გაიქეცით მოციმციმე ნაძვის ხესთან. იქ მისი საჩუქარი გელით.

და გახსოვდეთ, რომ სწორედ მაშინ როცა, თქვენ სიხარულისგან გაბრწყინებული თვალებით მის მოტანილ საჩუქარს ხსნით, ჩვენი თოვლის ბაბუა დაცარიელებული ხურჯინით, ძალზე დაღლილი, მაგრამ უზომოდ ბედნიერი, მიაქროლებს ირმებს უკან, თავისი ქოხისკენ... ბედნიერი იმით, რომ თქვენი პატარა გულების გახარება შეძლო.

ISBN 978-9941-0-5893-6
9 789941 058936

ეს პატარა წიგნი გახლავთ ავტორის მოკრძალებული მცდელობა და უდიდესი სურვილი, რომ ჩვენს შვილებს შევუნარჩუნოთ, ეროვნული სიმბოლოებით გავუმდიდროთ და უფრო მიმზიდველი გავხადოთ ის ლამაზი ზღაპარი, რომელსაც თოვლის ბაბუს ამბავი ჰქვია.

გამომცემელ-რედაქტორი: ხათუნა გოგბაიძე
მხატვარ-ილუსტრატორი: მალხაზ რუსაძე